სწობილია, რუსეთის ჯარმა აღექსანდრე მეორის ბრძანებით ამ დღეს გადალახა თურქეთის საზღვარი ევროპაში ბალკანეთის მიმართულებით. მაგრამ, ცხადია, ეს დეტალი არ გაზრდებდა ს. ხუნდუაძის აზრის გასაბათილებლად, ჯერ ერთი იმიტომ, რომ მწერალს შემდეგ შეეძლო მისი პიესაში შეტანა. ამხუ მიუთითებს პიესის ჩვენამდე მოღწეული სხვა ვარიანტები, სადაც გრიგოლი ყარისის ფორმტიდან ბრუნდება. მართალია, ეს იმევე ომის სხვა ფორმითა, მაგრამ ერთ ვარიანტში პოლკის ადიუტანტი პლევანის ბრძოლების ამბებით ტრაპაზოხოს, მეორე ვარიანტში ყარისისა და ჭაჭების ციხის ამბებზეა. არა კი პიესის დრამატურების თვის არავითარი მნიშვნელობა არა აქვს იმ გარემოებას თუ გრიგოლი საიდან დაბრუნდებოდა. აქ უფრო კ. წურთლოს მეთოდის თავისებურ გამოვლინებასთან ვკავშირს საქმე. მწერალი თავის ნაწარმოებს თანამედროვეობას უახლოვეს, დიკუმენტური მოტივით ამ-ლევანობა არა ამ შემთხვევაში მას ამის საშუალებას აძლევს ერთი მხრივ ის, რომ პიესა დაუბეჭდავია; ხოლო მეორეს მხრივ კი პიესის მოსალოდნელი დადგმის შემთხვევაში მისი დღევანდლობასთან დაახლოების ტენდენცია. მასვსადამე, ადგილი შესაძლებელია, რომ პიესაში, რომელიც დაწერილი იყო 1874 წლამდე, მისი გადამუშავების დროს შემდეგდროინდელი ფაქტები შესულიყო. ამ ვარაუდს ჩვენი აზრით, უნდა ამართლებდეს ჩვენამდე მოღწეული პიესის ხელნაწერი ვარიანტების არსებობა. მაგრამ, ცხადია, პიესის ჯანრის დადგენისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ექნება თვით ნაწარმოების ანალიზს.

პირველ ვარიანტში ოჯახის ასული — ეფემია გაუთხოვარია. იგი თურმე მოსწონებია სტოლონარაღნიკ როსტომ ქლოტს, რომელსაც აქ მალკაში იწინებელი, შვიდთახიანი ელითარის სახლი აქვს; პირველი ეფემიას ამის გაგონება არ უნდა, იგი შობობებს ვერ „ეღევეა“.

პირველ ვარიანტში მოახლეს ფოსტალიონი უყვარს და კიდევაც ხდებდა მას, მეორე ვარიანტში მოახლენ გოგონა და ფოსტალიონის სიყვარულის მოტივი მეორდება, მაგრამ შეხვედრის სცენა ამოღებულია. სპექტაკლში კი თურმე ბარბარე ტარის, როცა შეყვარებული „სურინდას თუმერის ფანჯარასთან“. (აქ რაღაც ახალი ექვემდებარება შესული).

პირველ ვარიანტში გადახანული (ალბათ როგორც მ. დუდუაშვილი შენიშნავს, ცენზურის მიერა ამოღებული) გადაწყვეტილი ჩინოვნიკის, ოჯახის უფროსის დომენტი გორდელაძის აღსარება; მეორე ვარიანტში კი მწერალი ახლებურად გაუზარებია დომენტისეული აღზრდის პრაქტიკა და თეორია, რომლებიც ეწინააღმდეგებიან ერთმანეთს. ახლა ხედავს დომენტი, რომ შვილი წყისობად ვერ გაზარდოს.

„მომინოს თუ პირველ მწყვერის დაჭურაზე თავში ჩაყარი, ის მეორე მწყვერს ვეღარ დაიტვირს!“ — ამბობს დომენტი — როგორც მიმინოს მწყვერის დასაჭურავთ ვაწაფო, შვილიც ისე გაწყევ. ამაყობას ნუ დაწერავთ. გაქვს ნუ წაუხადენ ლახვით. ტოლსა და ამხანავში სანამ პატარაა, იმის მხარე გეტვროს, ახირებულათ ნურავის დაჩაჯგერინებ, პატვიის მოყვარეობა შეუნახებ. მერე მიუმი თავის ნებაზე და რომ გაოზარდოს.

შენ იმისი ნურა გინდა რა... „თუ იცოცხლე, იცოდე, რომ კარგ ბოლის შეეწვრები“. დომენტის „პედაგოგიკას“ გ. წურთელმა ხაზი გადაუსვა იმიტომ, რომ იგი დრამატურგიულად წინასწარ ანიშნებდა მაციურებელს გრიგოლის მოსალოდნელ კატასტროფას, მასვსადამე, დრამატურგის სამართლიანი აზრით, სიმახვილეს დაუარგავდა ნაწარმოებს.

მეორე ვარიანტი იწყება ეფემიას მინოლოგიით, რომ-ლოტიც მაციურებელი იგებს, რომ ეფემია ძალიან უყვარს თავის მეუღლეს როსტომს და ა. შ. ე. ი. ეფემია გათხოვილია; მაგრამ ოჯახის ასული არ გადადის ქმრის ოჯახში, რადგან ჯერ მზითვი არ მიუღია. უმითოდ მისულს რაღა ხმა უნდა მქონდეს ჩემი ქმრის ოჯახშიო. აკი მან დედასაც გაუმტდავანა (პირველ მოქმედებაში) გულინსადებო: „დედაც, განა არ იცი რაც პლანები მაქვს? ხალხი ისე უნდა მოვაწყო, რომ ლებუნარატორს შემოსეცლებოდესო... მესამე მოქმედებაში კი მსგავსი ოჯახის ტიპირენა ასულმა გულის მესადემულე დედოცოს ოინნაში, პირმითენ, ბორტოც, ლაქუტა უწოდა და დაემუქრა კიდევ.

ერთი სიტყვით, პიესაში მოქმედებენ ხარბი და კაპასი ოჯახის ასული ეფემია, მისი მონაძორილი მეუღლე როსტომი, უსასათო და ჭორიკანა დედა, სიძეები — „ენამაგინოლი“ აღექსანდრე და სამსახურიდან გაგდებული, მეჭრთამე დავითი; ეფემიას ძმა — ფუქსაგატი და ტრაბახა (პლევანს მარტო მე და ჩემი კამანდირი ავიღებდი თვიდაც ბაბო რომ არ დაქვასა), მდღადარი საცოლის მაქებარა და ბანჭოს მოთამაშე პოლკის ადიუტანტი, რომელმაც პოლკის ფული წააფო და თავი ციხეში ამოყო, შემდეგ, დომენტის, სამსახურიდან გადაეყენებული მეჭრთამე ჩინოვნიკი — აღზრდის მანით შეპყრობილი მამა, რომელმაც ვერც ერთი შვილი ვერ გაზარდა (გვიცი გვარზე სტოსო თუ ფიტობდა ავტორი) და ბოლოს, კომედისათვის დამასასათებელი ფინალური სცენა — დებისა და სიძეების გაერთიანება (და არა გარდაქმნა) დაკინებული, გადაგვარების გზაზე დამდგარი ოჯახის უფროსის — მამისა და სიმაძრის გარშემო უღირსი შვილის გადასარჩენად!

თუ ამას დავუმტებთ სიტუაციების, მოქმედების, ინტრიგისა და კონფლიქტის სახათის, ასევე გაცინებებთ კ. წურთელის აზრს ეთნოდრულად სიცილისა და მწყურების გამომწვევი კომედის შესახებ, კომედისა, რომელშიც კომიკურს მხარეს „სამსახრო ოხუნჯობის სიტყვები“ კი არ უნდა შეადგენდეს, არამედ „თვით ცხოვრების ნაკლებებაზე“, უდავოა, „ოჯახის ასული“ კომედია უნდა იყოს და არა დრამა.

თეატრის სტოლიანიზმი ავტო თუ იმიათია ვანრული გაურკვევლობის ფაქტი. ავქსენტური ცაგარელი ფიტობდა, რომ მისი „რაც გინახავს, ვეღარ ნახავ!“ — ტრავედია იყო, თუ-ატარს კი ის კომედიად შემიტარა. მწერლის მიერ განსაზღვრული ნაწარმოების ჯანრის საკითხი დრამატურგის ისტორიის კუთვნილებაა, ხოლო მისი სცენური ინტერპრეტაციის საკითხი თეატრის ისტორიის კუთვნილებაა (სხვა საქმეა, ისტორიულად მართლდება თუ არა თეატრის ექსპერიმენტი). მაგრამ, თეატრის ისტორიისათვის არანაკლები მნიშვნელობა აქვს მწერლის პოზიციას, მის ჯანრულ მიდგომას თემისადმი. ამ თვალსაზრისით გარკვეული მნიშვნელობა ენიჭება ამა თუ

იმ ნაწარმოების განრის დადგენას თვით მწერლის ესთეტიკური შეხედულებისა და დრამის თეორიის გასარკვევად.

ახლა საინტერესოა, გ. წერეთლის თანამედროვე კრიტიკის აზრი პიესასა და სპექტაკლზე. რეცენზენტმა, როგორც თვითონ ამბობს, მკითხველს, რაც შეიძლება, დრამატულად მოუხიბოს, ოჯახის ასულის შინაარსი და მერე, მკითხველთან ერთად განვითარებულმა იკითხა: „მე ყველა კარგი, მაგრამ დრამა სად არის“ (საყურადღებოა ისიც, რომ ეს კითხვა მაყურებელს თურმე უფრო ხშირად ებადებოდა). რეცენზენტმა ისიც შეამჩნია, რომ „ამ მასალით შეიძლებოდა მართლა რიგინის დრამის დაწერა. მაგრამ დამწერმა სხვა პირები უნდა გამოიყენოს სცენაზე“. „მ“ ინიციალს ამოფარებული იფანე მანაშელი პიესას ამასთანავე სხვადასხვა ნაჭრისაგან შეკერილ საბანს ადარებს და სუსტ, უმ ნაწარმოებად თვლის.

ფაქტია, რომ გ. წერეთლის კომედია თეატრს დრამის სახით წარმოუდგენია. მაგრამ, თუ ნაწარმოების განრის საკითხი მწერლის სისხლხორცეული საკითხიდან, იმადგება კითხვები: რატომ მოხდა, რომ კომედია დრამად დაიდგა? მისცა ავტორმა ამის უფლება თეატრს? და თუ მისცა, რა მოსაზრებით?

პიესა, როგორც წვეთით აღინიშნა, წარდგენილი იყო დრამატულ საზოგადოებაში, მაშასადამე, თეატრს შეეძლო მისი დასადგმელად არჩევა. ხოლო იმ დროს, როდესაც თეატრი პიესაზე მუშაობდა, გ. წერეთელი პრაქტიკული საქმიანობით იყო გატაცებული და უნდა ვივარაუდოთ, რომ პიესის დადგმაში აქტიური მონაწილეობას ვერ მიიღებდა. გასაგები უნდა იყოს თეატრის პოზიცია. მას, როგორ ჩანს, ანგარიში გაუწევია საზოგადოების მაღალი ფენებისათვის, არა გაუმსაზრებია მათი ყოფა, განრის შეცვლით უცდია შესუსტებინა ნაწარმოების მამხილებლური პათოსი, მაგრამ მაინც საწინააღმდეგო რეაქცია გამოუწვევია. ეს ნათლად გამოჩნდა განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც „ოჯახის ასული“, ორი წლის შემდეგ ხელმოთრედ დადგმულა.

დადგმის „დროების“ გაფორმებული თავდასხმა მოკეოლია. „წარმოიდგინე, მკითხველი, — გრგვინავდა გახუთი, — ამდენი სისასაცლე მოგროვილი ერთს ოჯახში და ისიც ქართვლის ოჯახში!“ ფაქტია, რომ რეცენზენტის (ამ შემთხვევაში გახუთის) პატრიოტიზმი პათოსის უსაზღვოა, ხოლო ქართველის ოჯახის დაცვის ტენდენცია ყალბული, რამდენადაც გ. წერეთლის მახვილი მიმართული იყო არა საერთოდ ქართული ოჯახის, არამედ ისტორიულად განწირული, დეგრადაციის გზაზე დაშვებული თავდაზნაურული ოჯახების წინააღმდეგ.

გ. წერეთლის თანამედროვე კრიტიკამ სწორად შენიშნა პიესის დრამატურგიული სისუსტე და დაბალი მხატვრული დონე, მაგრამ ვერ გაიყო კომედიის იდეური მნიშვნელობა. კრიტიკამ თეატრის დანაშაულოც (კომედიის დრამად დადგმა, ავტორისული ტენდენციის არა სწორი გაგება, ცრულნარევი კომედიის ნაცვლად „ტრაგედიის“ შექმნა და აიპო ისედაც მხატვრულად სუსტი ნაწარმოების გაყალბება) ავტორს გადაარბალა. კრიტიკა ბოლომდე ვერ ჩაწვდა კომედიის დედააზრს, რომელიც არა მარტო ამხელდა ახალი,

ბურჟუაზიული ცხოვრების ვითარებაში გადაგვარების კარზე მიმდგარ, ოდესღაც დიდებულ ოჯახს, არამედ მიმართული იყო აგრეთვე ბიუროკრატიულ-ჩინოვნიკური მოხელეობისა და მანასადაც, თვითმპრობელობის მიერ მანქანამოკრული ადამიანებისა და ცხოვრების წინააღმდეგ.

„ოჯახის ასულის“ შემდეგ გ. წერეთელი წერს თავის ერთადერთ დრამას „დარიას“ (დაიდგა 1880 წლის 5 დეკემბერს).

მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული დრამა 70-იანი წლების საზოგადოებრივი ვითარების ფონზეა გაშლილი, მასში მწერალი ისევ აყენებს „ჯიბრში“ წამოყენებულ საკითხებს და მათ ახალი დროის შესაბამისად წყვეტს.

„დარიაში“ თავად ჭიხოსლის სახეში გრძელდება ბეკირას („ჯიბრში“) ბატონობა: „მართალია, ახალი დრო მოვიდა, ბატონობა ვითომცა მოისპო: მაგრამ მე ჩემს მამულში თუ ვარ, ახლა ვარ ბატონი“. სიამაყით ესაუბრება თავის თავს რევოლუციის შემდეგ დროინდელი ბეკინა, რომელიც ბოლოს-დაბოლოს გაიგებს, რომ მის ურჯავ-მირძვე ქონებას თავისი მოურავი, როგორც უნდა ისე ანაივებს. ჭიხოსროც ამცდევენებს თავის მოურავის მიმართ უკმაყოფილებას. მამუკა კი იმით, რომ სიმართლეს ამბობს, ბატონის თვალში გლეხების ინტელექტების დამცველია.

დრამაში აქტიურად წყდება ფონის საკითხი. ხოლო ამ ფონზე ასევე აქტიურად დგას ქალის ემანსიპაციის პრობლემა, რომელიც მჭიდროდ არის გადაკავშირებული სოციალური თვითობის ნაშთების აღმოფხვრის იდეასთან.

დარიაში შეიგნო, რომ ქალს „აკვირდნან სიბერემდის, როგორც ღელფაღას, როგორც ტკიცინას, ისე უყურებენ“. მაგრამ ის ვიდრე დამოხედულ მდგომარეობას უფრო მკვეთრად გათხოვების შემდეგ იგრძნობს.

ერეკლე, პეტრბურგში მოსწავლე სტუდენტი (ცხადია: ავტორიც) ამ ბოროტების ერთ-ერთ მთავარ მიზეზს ხალხის უმეცრებაში, გაუნათლებლობაში ხედავს. მან დარიას ჯერ კიდევ გათხოვებამდე განუმტკიცა პეტრბურგში „უმაღლეს ქალღმის კურსში“ სწავლის მისაღებად წასვლის აზრი, შთააგონა ქალის განათავისუფლების მაღალი იდეა.

დრამატურგი „დარიაში“ ეხება ქართული სინამდვილის სხვა მოუწესრიგებულ საკითხებსაც, მათ როგმი აყენებს ქართული თეატრის აღდგენის პრობლემას. აღნიშნული ეპიზოდი ნათლად იყვს მითლიანად დარიასა და ერეკლეს ხასიათებს და კიდევ ერთხელ აშკარაგებს იმ უდაო ფაქტს, რომ ისინი ავტორის მიერ შეუფერავად გამოხატული პერსონაჟები არიან.

დარია შეწყუბუნალია საზოგადოებისადმი ჩვენი ურბალ-გახუთების დამოკიდებულებით. მას ამშვიდებს და აიძვდებს ერეკლე.

დარიას სექტაკლშიც უნდა მონაწილეობის მიღება, მაგრამ ამონებს დადგმის პოზიცია: მან იცის, რომ დედას (დედის თაობას) თვალწინ მხოლოდ ადოქატიები და ჩინოვნიკები უდგას. ამასთანავე, მას ღრმად სწამს ახალი თაობისა, რომელიც მარტო სამშობლოს სამსახურზე არის თავდადებული.

დრამის კოლიზია დარიას მითლიანად საწინააღმდეგო სიტუაციაში ჩააყენებს.



ამის შემდეგ რაღა გზა ჰქონდა: „ან თავი უნდა მიმოვალა, ან დედამის ნებას უნდა დავმორჩილებოდით. მე ეს მეორე ავირჩიე, რადგან იმედო მქონდა, რაც დედ-მამის ოჯახში ვერ ავასრულე, ის ქმრის შემწეობით შევასრულო“. ერეკლეს მოსწონს დარიას გულწრფელობა, მზარს უჭერს მის გადაწყვეტილებას, რადგან სწავს, რომ ჩვენი ქალღმისთავის „საჭიროა ფართო განათლების გზის გაკავება“. ერეკლე გ. წერეთლის თვალსაზრისს ანვითარებს: „ჩვენ მიიწვ ამ ერთ მუჭა ხალხს სხევერ უფრო გვეჭირება ქალების საფუძვლიანი განათლება“; ერეკლე გ. წერეთელივით არ ასვენებს ის გარემოება, რომ ამ ერთ მუჭა ხალხში არ არის ერთობა, რომ „ახნაური ცალკეა, გლეხი ცალკე, ღვდელი ცალკე და ერთი ცალკე“ და ბოლოს, ერეკლეს აზრით, ეს „ას ნაწილად დაწვევით“ ხალხი დღის მხურვალე გულმა „უნდა შეაწივოს ერთად“.

დარია კი მოქმედებს მოითხოვს — „სიტყვების მაგიერათ საქმე გვიჩვენეთ, გზაზე დაგვაყენეთ“.

დარიას პროტესტი მამაკაცის ძალაუფლების წინააღმდეგ გააზრებულია: „მე ვიცი, როგორც წავიყვან ჩემი გონების განათავისუფლების საქმეს“. მის მოწოდებად გადაიქცევა დამოუკიდებელი შრომა და სწავლა! იგი გადადგამს კიდევ ნახიჯს, მაგრამ უკვე გვიანაა.

ახე შევიწირვა იმდროინდელ სოციალურ გარემოსა და ფეოდალური ოჯახის ტრადიციებს საზოგადოებრივი დამოუკიდებლობისათვის, ახალი იდეებისათვის მებრძოლი ქართველი ქალი.

სხვათა შორის, ამას იგრძნობს ძველი ყოფის წარმომადგენელი მამაკაციც, დარიას ქმარი. გამძვინვარებული ერეკლეს შეძახილზე, რომ დარია უმანკოა, რომ დარია მათი მსხვერპლია, დავითი შემოილიეთით იმთორებს. „დაიდ, ჩვენ მოკვალეთ, ჩვენი მოკვალეთ“.

გ. წერეთელი, ყოველთვის იყო განმანათლებლური და ერთგულ-განმათავისუფლებელი იდეების პროპაგანდისტი. მისი დრამა „დარია“ იმითაც არის საყურადღებო, რომ აქ დრამატურგი ქალთა ემანსიპაციის არა მარტო საზოგადოებრივ მნიშვნელობას ეხება, არამედ საკითხს პოლიტიკური თვალსაზრისითაც აყენებს.

გ. წერეთლის ერთადერთი დრამა მნიშვნელოვანია იმით, რომ მასში არსებულის მძაფრი კრიტიკა თავისებურად არის წარწამული რევოლუციურ-დემოკრატიული იდეალების პროპაგანდასთან. ქართული დრამატურგიის ისტორისათვის კი ეს საყოფაცხოვრებო, სოციალური დრამა ძვირფასია არა მარტო თავისი დროის აქტუალური პრობლემებით (მასში თითქმის ერთნაირი სიღრმით არის დასმული ეროვნული და სოციალური უთანასწორობის მტკივნეული პრობლემები), არა-წმდ დადებითი იდეალისა და დადებითი გმირის საკითხის

გადაწყვეტის ცდით. მართალია, ეს იყო მხოლოდ ცდა, მაგრამ გ. წერეთელს, კრიტიკული რეალიზმის სხვა წარმომადგენლების მსგავსად თავისი მეთოდის შუზღუდულობის გამო არ შეეძლო ბოლომდე გადაეტრა ეს მნიშვნელოვანი პრობლემა.

გ. წერეთელი თითქოს „დარიას“ მნიშვნელობასაც აჯამებს, როდესაც ა. სუმბათაშვილის დრამას ეხება. ა. სუმბათაშვილმა თავისი დრამით „ბორჯღოლი“ პირდაპირ აუხსნა მცენარამეტ სასუკუნის კაცობრიობას, რომ დღევანდელი კანონი და წესი ცოლ-ქმრობის ნამდვილი ბორჯილია როგორც ქალისათვის, ისე კაცისათვის და არ შეუფერება არც მათს განათლებას, არც მათს გონიერებას, მაშასადამე, იგი უნდა შეიცვალოს ამ დროის შესაფერად... მაგრამ როგორ, რა საშუალებით? ამაზე დრამატურგს, რა თქმა უნდა, არც შეეძლო სწორი პასუხის გაცემა.

გ. წერეთლის დრამატურგია, მხატვრული თვალსაზრისით თუ არა, თემატიკურ-იდეურად მიიწვ აგრძელებს, კრიტიკული რეალიზმის ქართული პიონერის გ. ერისთავის საქმეს. მართებულად შენიშნავს ა. გაჩეჩილაძე, რომ გ. წერეთლის დრამატულ ნაწარმოებებში „უფრო ძლიერია რღვევისა და მორალური დაკნინების პროცესი. ეს ასედაც უნდა ყოფილიყო, რადგან გ. წერეთელმა გვიჩვენა თავადანაურთა ოჯახის შინაგანი მოწინააღმდეგეობისა და გონებრივ-ზნეობრივი დაქვეითების შემდგომი პერიოდი“⁷.

გ. წერეთლის პიესების დაბალი მხატვრული დონის მიუხედავად, მისმა დრამატურგიულმა მემკვიდრეობამ გარკვეული, დადებითი როლი შეასრულა ქართული თეატრისა და ლიტერატურის ისტორიაში სწორედ იმით, რაც თავის დროზე შეინიშნეს ს. მესხმა და ნ. ნიკოლაძემ და რის დამალვაც ვერ შესძლო მწერლის დრამატურგიული ნიჭის საერთოდ უარმყოფელმა ვ. გუნიამაც. „მის პიესებს — წერად ვ. გუნია. „ოჯახის ასულისა“ და „დარიას“ შესახებ — ეტყობა ცხოვრების ცოდნა, თანამედროვე სენის შეგნება და მისი მკურნალობის უნარი“⁸.

გ. წერეთლის დრამატურგიული ნაწარმოებები ერთის მხრივ ფეოდალური ყოფის, ფეოდალური ოჯახური ურთიერთობის მიმე ნაშთების, ბუროკრატიზმის, მიუღებელი გარემოს მძაფრ კრიტიკას, ხოლო მეორეს მხრივ ხალხში განათლების გავრცელების, პიროვნების, ქალის აღზრდისა და განმანათლებლობის იდეალებს შეიცავს. საბოლოო ჯამში, ეს საკითხები ერთგულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის იდეით არის გაპირობებული.

⁷ ა. გაჩეჩილაძე, გ. წერეთლის დრამატურგია, „საბჭოთა ხელოვნება“, 1860 წ. № 6, გვ. 84.

⁸ ვ. გუნია, ქართული თეატრი (1879-1889), 1889 წ. გვ. 84-85.



ვალეკო

ბოკურაძე

ვახტანგ ჯორბენაძე



იცოცხლები საესე, უარესად თავაზიანი და კეთილ-
შობილი — ასეთი იყო და ასეთად შემორჩა ჩვენი
სსოენას ვალეკო ბოკურაძე.

ვალერიან პეტრეს ძე ბოკურაძე დაიბადა 1901 წელს ქა-
ლაქ სოფში. შვიდი წლისაც არ იყო, როცა დაობდა, მაგრამ
იგი აღზარდა მამის მეგობარმა კონსტანტინე ლოლუამ. 1919
წელს ვალეკომ წარჩინებით დაამთავრა სოჭის საშუალო სას-
წავლებელი და იმავე წელს თბილისის უნივერსიტეტის სამე-
დიცინო ფაკულტეტის სტუდენტი გახდა. მაგრამ ოჯახური პი-
რობების გამო იძულებული იყო სწავლა შეეწყვიტა და
მუშაობა დაეწყო.

ერთხანს ვალეკო ბოკურაძე საქართველოს პარლამენტის
თეატრალური განყოფილების გამგეა, შემდეგ კი საქართველოს
სსრ განათლების კომისარიატის თეატრალური განყოფილების
გამგე. ამავე პერიოდში, იგი წარმატებით ამთავრებს მოსკოვის
ლუნინარსკის სახელობის თეატრალურ ინსტიტუტს და საქარ-
თველოს სსრ სახალხო კომისარია საბჭოსთან არსებული ხე-
ლოვნების კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ინიშნება.
ეს იყო 1930 წელს, 1937 წელს კი მას ოპერისა და ბა-
ლეტის სახელმწიფო თეატრის დირექტორობასაც უთავსებენ.

ვალეკო ბოკურაძე თავიდანვე, მისთვის ჩვეული გულმოდ-
გინებითა და სერიოზულობით შეუდგა ქართული თეატრის
სათავეებისა და მისი განვითარების გზების შესწავლას. ამავე
დროს, დიდი ყურადღებით კვიდებოდა მიმდინარე რეპერტუა-
რის საჭირობოტო საკითხებზე, ჩვენი წამყვანი თეატრების
მნიშვნელოვან სპექტაკლებს და ხშირად წერდა პრესაში.
ვ. ბოკურაძეას ამ მხრივ საკმაოდ მდიდარი და საინტერესო მემ-
კვიდრობა დარჩა. ურიგო არ იქნება ზოგ მათგანზე მივაქცი-
ოთ მკითხველის ყურადღება. უპირველეს ყოვლისა აღსანიშ-
ნავია თეორიული ხასიათის წერილი „საბჭოთა თეატრი ოქ-
ტომბრის რევოლუციის მეთვრამეტე წლისთავზე“¹, რომელ-
შიც საკმაო სისრულით არის გაშუქებული საბჭოთა თეატრის
შემოქმედებითი გზა, ორიგინალური დრამატურგიის გადამ-
წყვეტი მნიშვნელობა ეროვნული თეატრის განვითარებისათ-
ვის, ბრძოლა შემოქმედებითი მეთოდის განახლებისათვის დი-
ადი სოციალისტური ხელოვნების შესაქმნელად და სხვა მნიშ-
ვნელოვანი საკითხები. ავტორი სამართლიანად შენიშნავს,
რომ „მხოლოდ მუშათა კლასის დიქტატურის დამყარებამ შე-
უქმნა ქართულ თეატრს შესაფერისი პირობები გაჯანსაღებისა
და გარდაქმნისათვის, რომ სრულიად ახალი, საბჭოთა ეტაპი
ქართული თეატრის ისტორიაში იწყება 1922 წლის 25 ნოემ-
ბრიდან, როდესაც საქართველოს სახელმწიფო თეატრში
კ. მარჯანიშვილის მიერ დადგმულ იქნა ლოპე-დე-ვეგეს
„ცხვრის წყარო“. ამ პიესის არჩევანი შემთხვევითი არ იყო...
სამოქალაქო ომების პირობებში მოპოვებული პათოსით საესე
დადგმას, რომელიც უკვე შემოწმებული იყო რევოლუციური
მაცურებლის მიერ, უნდა დაეწერია ის კედელი, რომელიც
ანცალკეებდა ქართულ თეატრს ახალი ქვეყნისაგან, ახალი
მაცურებლისა და ცოცხალი სინამდვილისაგან. „ცხვრის წყა-
როს“ დადგმით ქართულ თეატრში იწყება ბრძოლა ძველ
ტრადიციების წინააღმდეგ, რეპერტუარის გაფართოება, ახა-
ლი, ნამდვილად თეატრალური სადღესასწაულო ფორმების
დამყარება, მსახიობის მრავალმხრობისა და შესაძლებლობა-
თა გამომყვანება, თეატრალურ შემოქმედებაში მსატრის,
მუსიკოსის, მოცეკვარის ჩაბმა...“

სტატიის ავტორი ნათლად გვიჩვენებს თუ საბჭოთა დრა-
მატურგიის ზეგავლენით როგორ აჩქარდა ქართული თეატრის
შემდგომი განვითარების ტემპი, როგორ შეიცვალა ჩვენი თე-
ატრების შემოქმედებითი სახე. ამას გარდა, ავტორი ანალიზს
უკეთებს თეატრისა და მისი კოლექტივის შემოქმედებით მუ-
შაობას, არჩევს ცნობილ სპექტაკლებს („ანზორი“, „რდევია“,
„თეინული“), მაღალ შეფასებას აძლევს პერიფერული

¹ იურნალი „საბჭოთა ხელოვნება“ 1935, № 5 გვ. 5—19.

თეატრებისა და მუსიკალური სატირის მოძრაი თეატრის (მის. ჭიაურელისა და დუდე ძნელადის ხელმძღვანელობით) მუშაობას და სხვ.

ასევე საყურადღებოა ვ. ბოკუჩავას წერილი „ქართული თეატრი და დრამატურგია“¹, რომელშიც საკმაოდ ვრცლად გაანალიზებულია ქართული თეატრის ისტორია უძველესი დროიდან ჩვენი საუკუნის 40-იან წლებამდე. ამ სტატიას მაღალი შეფასება მისცა ცენტრალურმა პრესამ. აი, ნაწყვეტი ვ. ლაპუნტინის რეცენზიიდან², „ქართული თეატრისა და დრამატურგიის პრწყინვალე სტატია უძღვნა ამხ. ვ. ბოკუჩავამ. ნისი რეკომენდირება შეიძლება ყველასათვის, ვინც კი ესურვებს საქართველოს თეატრალური კულტურის ისტორიის განცნობას. ქართული თეატრის ისტორიის ძირითად გზებს ვ. ბოკუჩავა განიხილავს ქვეყნის საერთო კულტურულ მდგომარეობასთან გაკვირვებით, ამასთან იგი გვახატავს ახალიზების მსახიობების, დრამატურგების, რეჟისორების, თეატრალური საზოგადოების წარმომადგენელთა მუშაობას და ხატავს მათ პორტრეტებს...“

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ვ. ბოკუჩავა ხშირად ეხმარებოდა რესპუბლიკის წამყვანი თეატრების ცალკეულ ღირსშესანიშნავ დადგმებს. ამ მხრივ აღსანიშნავია საქმის დიდი ცოდნითა და სიყვარულით დაწერილი რეცენზიები ისეთ სპექტაკლებზე, როგორიცაა ა. კორნეიჩუკის „პლატონ კრეჩეტი“ (დადგმა შ. აღსაბაძისა) რუსთაველის თეატრში (ჟურნალი „საბჭოთა ხელოვნება“ 1935 წ. № 6), ფ. შილერის „ვერა-რენა და სიყვარული“ (1935 წ. № 1) და ნ. ზარის „ჯონ სტრიტი“. (გაზეთი „საბჭოთა ხელოვნება“ 1933 წ. 17 აპრილი) ორივე მარჯანიშვილის თეატრში; გალიჩინოვისა და პაპანიკოპულის „პატრიონ ოფიცრები“. დადგმა დ. ალექსიძისა. წითელი არმიის თეატრში (ჟურნალი „საბჭოთა ხელოვნება“ 1935 წ. № 6).

ვ. ბოკუჩავას თეატრალურ რეცენზიებში ვლინდება ავტორის ღრმა პროფესიული გაანალიზების უნარი. „დამდგმეულის წინაშე ფრიად საპასუხისმგებლო ამოცანა იდგა, —წერს „პლატონ კრეჩეტის“ რეცენზენტი, — არ დაეჩრდილა პიესის წამყვანი იდეა, შეენარჩუნებინა ყველა სახის ნამდვილი ბუნება. იმავე დროს, ფაქიზად გამოყენებინა თეატრის შემოქმედებითი მარაგი და პიესა, რომელიც თავისი კონსტრუქციითა და განწყობილებით თეატრისათვის უცხო მასალას წარმოადგენდა, ისეთ საზემო გაეშალა, რომ მისაღები და შესატყვისი ყოფილიყო მსახიობთა ოსტატობისათვის. ეს ამოცანა — წერს რეცენზენტი — დამდგმელ რეჟისორ შოთა აღსაბაძის ნიჭრ განხორციელებული იქნა. მან უარყო ყოველგვარი გარეგნული ეფექტი, მსატრულმა ალღომ უკარანახა მას მეტად სადა და უბრალო სცენური ფორმები, ბუნებრივად გამომდინარე პიესის რაობიდან. არამუნებრივი ხტომა შეივცალა თანამედროვე ადამიანის დინჯი სიარულით, ხელოვნურად ამაღლებულ ტონი დაწეული იქნა, მაგრამ მას არ დაუკარგავს შინაგანი დამაბეჭებელი, მიზანსცენები უბრალოა, მაგრამ საყვებით გააზრებული“.

ვ. ბოკუჩავა იყო ერთ-ერთი პირველთაგანი, რომელმაც



მარტინიდან: მ. რეიზენი, ი. მუკიანი, ვ. ბოკუჩავა და გრიბუნინი აღიარა ჩვენი შესანიშნავი რეჟისორის, საქართველოს სახალხო არტისტის დიმიტრი ალექსიძის ნიჭი და უნარი. „ნახე უნდა გაეცნას იმ გარემოებას — წერდა იგი და ალექსიძის მიერ დადგმული სპექტაკლის „პატრიონ ოფიცრების“ შესახებ — რომ რეჟისორმა და ალექსიძემ უკვე მეორე დადგმა მოგვცა და უდაოა, რომ მისი სახით ჩვენ თეატრალურ ფრონტს მოველინა ახალგაზრდა, ნიჭიერი, მაღალი გემოვნების მქონე კულტურული რეჟისორი, რომელსაც დიდი პერსპექტივა აქვს...“ დღეს ყველასათვის ნათელია, როგორ გამართლდა ვ. ბოკუჩავას ეს სიტყვები.

აქვე უნდა მივიხსენიოთ ვ. ბოკუჩავას თეორიული ხასიათის წერილობით თეატრალური კრიტიკის შესახებ: „ხარისხის ამაღლებისათვის“ (გაზეთი „საბჭოთა ხელოვნება“ 1933 წ. 30 მაისი) და „თეატრალური სუზონის წინაწარმი შედეგები“. აგრეთვე წერილები: „შეინუნებო მუსიკაზე“, „მაქსიმ გორკი — დრამატურგი“, „უდიდებო მნიშვნელობის დოკუმენტი“, რომელიც ეხება მეტეხის ციხის ყოფილ შენობაში ხელოვნების მუზეუმის მოწყობას და ბევრი სხვა.

ვ. ბოკუჩავას მრავალმხრივი საზოგადოებრივი მოღვაწეობა ყურადღებისა და პატივისცემის ღირსია. მან მნიშვნელოვანი კვალი დასტოვა ქართულ საბჭოთა თეატრალურ ხელოვნებაში, რომლის ერთ-ერთი ორგანიზატორი და გულმსუხრავალ პატიოტიკი თვითონ იყო. მისი ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამსახველი მასალები — ჩანაწერები, ხელნაწერები, გამოქვეყნებული წერილები, ფოტოები, მეგობართა და თანამედროვეთა მოგონებები ჩვენს ხელთ არის. მას სჭირდება პროფესიონალი თეატრმცოდნის ხელი, რათა უფრო ზუსტი ანალიზი გაუკეთდეს და ცალკე წიგნად გამოიცეს.

* * *

ამჟამად, ესარგებლობ შეშინებებით და გაქვეყნებით ფრაგმენტებს იმ მოგონებებიდან, რომლებიც ვ. ბოკუჩავას უძღვნეს ჩვენმა საზოგადო მოღვაწეებმა.

„გადაკარბებული და იქნება თუ ვიტყვი, რომ ქართული კულტურისა და ხელოვნების ორგანიზატორთა შორის ვალდებულ ბოკუჩავას თანაბარი ერუდიციის, ტაქტიკისა და ადამიანური მომხიბველობის, საქმისადმი სიყვარულისა და

¹ კრებულ „Искусство Грузии“. Госизд-во. „Искусство“.

² გაზ. „Кино“, 1937 17 ნოემბერი.



ავტორიტეტის მქონე მუშაკს იშვიათად შესვდებოდა... ყველა მნიშვნელოვანი საკითხის დამუშავებისა თუ გადაჭრის დროს ვალიკო პირველი იყო ჩვენს შორის, რომელიც ნამდვილ შემოქმედებით წვას განიცდიდა... ობიექტურების აზრი, თითქმის მართლ შემოქმედებითი მუშაკი (რეჟისორი, არტისტი, მუსიკოსი, მხატვარი), განიცდიდაც ამ წვას. თუ ადამიანი სათავები უდგას ხელოვნების დარგს, ამა როგორც მოსამსახურე-ჩინოვანიც, არამედ მოწოდებით, თუ იგი მთელი სისხლ-ხორციით არის დაკავშირებული ხელოვნებასთან, რომელიც მისი ცხოვრების ნამდვილ შინაარსს შეადგენს, მაშინ იგი ნამდვილი შემოქმედია... თეატრალური ხელოვნების ასეთი ორგანიზატორი იყო ვალიკო ბოკუჩავა... მისი ორგანიზატორული ნიჭი მთელი სისრულით გამოფინდა მოსკოვში, ქართული ხელოვნების პირველი დეკადის მხადგმეხად დეკადის პერიოდში. თუ ქართული ოპერების დადგმება დეკადზე მაღალი შეფასება მიიღო, თუ თვით დეკადა მოსკოვში მაღალ-ორგანიზაციული დონეზე ჩატარდა, ამაში შემოქმედებითი მუშაკობაში ერთად დიდი დავალები მიუძღვის ვალიკო ბოკუჩავას; კომენტალური ევგენი მიქელაძის ნაყოფიერი მუშაობისათვის და თავის თავზე იღებდა ბევრ არასასიამოვნო ამავას...

გობარი იყო და ბევრსაც აკეთებდა ჩვენი კვარტეტისათვის... ამავე დროს თბილისის კონსერვატორიაში კითხულობდა მარქსისტულ-ლენინური ხელოვნებათმცოდნეობას. სტუდენტებს ძალიან უყვარდათ მისი ლექციები".

გიორგი თაქთაქიშვილი

კომპოზიტორი, თბილისის კონსერვატორიის პროფესორი.

„ვალიკო მრავალმხრივ განათლებული ადამიანი იყო, შესანიშნავად იცოდა ქართული, რუსული, დასავლური კულტურა, მარქსიზმ-ლენინიზმის ნაწინამებები. კითხულობდა ლექციებს რუსული ლიტერატურის ისტორიიდან... მასსოფს, მისმა ერთმა ლექციამ გოლოზუხე ორ საათზე მეტს გასტყდა, მაგრამ დარბაზი მაინც სულგანაბული უსმენდა. მას არ ჰქონდა მიჩვევებითი პატივისცემა ტალანტებისა და გონიერ შემოქმედთა მიმართ, ეს მისი შინაგანი ბუნებიდან გამომდინარეობდა. ვ. ბოკუჩავა მეგობრობდა ლიტერატურისა და ხელოვნების თვალსაჩინო წარმომადგენლებთან. მის კაბინეტში სწორად ვხვდებოდი ევგენი მიქელაძეს, რომელიც თავის მეგობარს უზიარებდა შემოქმედებით გეგმებს და როგორც მაშინ მომხერვება, არაფერს არ უშლაფავ ვალიკოს, რაც გულში ჰქონდა. ვალიკო ევგენის ასხათებდა როგორც გულწრფელ, პირდაპირ, მართალ და პრინციპულ ადამიანს... ასევე გულმსხერვად ცვიდებოდა იგი უზრალთ ადამიანებსაც. არასდროს არ ამბობდა უარს ჩემთან შესვედრაზე, რადილ დაკავებულნიც არ უნდა ყოფილიყო, პირიქით, დიდ დროს მითმობდა. ბევრს მიაზნობდა და მისხნადა ჩემთვის ლიტერატურას... უყვარდა ლუნარსკიც... დიდად აფასებდა ი. გრიშაშვილს, პ. აშვილს, ტ. ტაბიძეს, ბ. ჯუღენტს, ს. ჩიქოვას, დ. არაკვიცილს, ზ. ფალიკოშვილს, მარჯანიშვილს და ამბეტელს, კარგად იცნობდა სიმეხ მწიგნობრებსა და მხატვრებს... სწორედ ვალიკოს წყალობით გავიცანი დიდ შეიყვარებ ქართული ლიტერატურა და კულტურა.“

მიხეილ ავაკანოვი

ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი.

„სექტაკლების განხილვისას ვალიკოს აზრი ყოველთვის დამაჯერებელი იყო, გასაგები და გულწრფელი. როგორი მკაცრი კრიტიკითაც არ უნდა გამოსულიყო იგი, ყველანი უყუარ-მანოდ ეყუებოდათ მის შენიშვნებს, რადგან, ვიცოდით, რომ ეს ჩვენი საქმის საკითილდდოდ იყო ნათქვამი.“

პავლე კანდელაკი

ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე

„ჩვენს ყურადღებას იქცევდა ვალიკოს მეტისმეტი თავაზიანობა, საქმის ღრმა ცოდნა და დიდი სიყვარული. თამამად შეიძლება თქვას, რომ მისთვის პირველი ოპოხი თეატრი იყო. არავითარი პირადი ინტერესები მას არ ამოქმედებდა.“

დავით ჩხეიძე

ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე

„ვალიკო ბოკუჩავას სახით ჩვენ უთუოდ გვეზრდებოდა შესანიშნავი ხელმძღვანელი. ვინ იცის, რა გაქანება მიიღებდა იგი შემდგომი, ახალგაზრდობაში რომ ასეთი სიმტკიცითა და ენერგიით წარმართავდა თავის საქმიანობას.“

დიმიტრი მჭედლიძე

რესპუბლიკის სახალხო არტისტი

ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე.

„ვალიკო ბოკუჩავა იმ შესანიშნავ ქართველ საბჭოთა მოღვაწეთა რიცხვს ეკუთვნის, რომელთაც დიდი ამაგი დასდებდა ჩვენი კულტურის განვითარების საქმეს... ოციანი წლებიდან მოყოლებული იგი ქართული თეატრალური ცხოვრების საორგანიზაციო საქმესთან იდგა... ენერგიული, გამჭვრავი, მრავალი კარგი წამოწყების სულისჩამდგმელი და ორგანიზატორი; განსაკუთრებით დიდა მისი დავალები სიმფონიური ორკესტრის შექმნისა და საოპერო თეატრის ორკესტრის გაუმჯობესების საქმეში... ვ. ბოკუჩავა გვერდით ამოუდგა ევგენი მიქელაძის ჩვენი მუსიკალური კულტურის აყვავებისათვის ბრძოლაში. განსაკუთრებით ფართოდ გაიშალა ვ. ბოკუჩავას მუშაობა ქართული ხელოვნების პირველი დეკადის მომზადებისა და ჩატარების პერიოდში. მას დაევალა დეკადის ლიტერატურული ნაწილის ხელმძღვანელობა. ეს დიდ ცოდნას და ენერგიას მოითხოვდა. ვ. ბოკუჩავა ბრწყინვალედ გაართვა თავი ამ საპატიო და საპასუხისმგებლო ამოცანას.“

დავით ანდლულაძე

საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტი

„ვალიკო ბოკუჩავა იყო ფაქტში და ინტელექტური ადამიანი, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით. მე ყოველთვის მიტაცებდა მისი გამათვის მანერა; წყნარი ხმა, მომღიმარი სახე... იგი საინტერესო და სასიამოვნო მოსაუბრე იყო. არასდროს დევლავდა, არ ეპოტინებოდა ყველაფერს, ცდილობდა ღრმად ჩაწვდილობდა საუბრისას თემის ძირითად აზრს. ძალიან მიყვარდა მასთან ყოფნა და საუბარი, მის ყოველ მოქმედებაში იგრძნობოდა რაღაც სასიამოვნო, ჩველი და გულუბრინადი, რომელიც ხიზლავდა ადამიანს... მუსიკოსი არ იყო, მაგრამ მუსიკა ძალიან უყვარდა. იგი სიმებიანი კვარტეტის დიდი მე-



ელენე ციმაკურიძე

დემურია, ვანო სარაჯიშვილი, კოტე მესხი, ევ. მესხი, ალექსი-მესხიშვილი, აკ. წერეთელი, მ. საფაროვა, ვ. აბაშიძე, ე. არაბიძე, ნ. გაბუნია-ცაგარლისა, კ. ყიფიანი და სხვები. ამიტომ სრულიად ბუნებრივად მოხდა, რომ ელენე ციმაკურიძემ თავისი ბედი სამუდამოდ დაუკავშირა თეატრს. მით უფრო, რომ ელენეს დედა—მარია, სათეატრო ხელოვნების დიდად მოყვარული იყო და წამყვან როლებს ასრულებდა სცენის-მოყვარეთა სპექტაკლებში, რომლებსაც სწორად მართავდნენ ხოლმე ქვიშხეთის გლეხკაცობისათვის, ნინო და კოტე ყიფიანების ხელმძღვანელობით.

წამოიზარდა თუ არა, ელენემ ქვიშხეთში თავი მოუყარა მის ტოლ გოგონებს და დაიწყო წარმოდგენების მართვა. სცენის მაგივრობას ხან აიჯანი უწევდათ, ხან საბჭელი და ხანაც კალო. ყველა როლს გოგონები ასრულებდნენ ხოლმე. მათ შორის ელენე — მთავარს.

ერთხელ ქვიშხეთს ეწვია ზუბალაშვილების სახალხო სახლის რეჟისორი კოტე შათირიშვილი. იგი დაესწრო ბავშვების წარმოდგენას და მაშინვე მოიხიბლა პატარა ეტეტოთი, რომელიც ადვოკატ მელაძის როლს ასრულებდა ამავე სახელწოდების პიესაში. (ეტეტოს ძალიან უყვარდა მამაკაცების როლების შესრულება). ამ როლმა გადაწყვიტა ელენეს ბედი და მარიამ დემურისა ინიციატივით, 1909 წელს გოგონა თანამშრომლად მიიღეს ზუბალაშვილების სახალხო სახლის ქართულ დასში. ამ თეატრალურ კოლექტივში მუშაობდნენ როგორც ქართული სცენის კორიფეჟი, ისე მაშინდელი ნიჭიერი ახალგაზრდობა.

რეჟისორი კოტე შათირიშვილი პირველ ხანებში ეტეტოს პატარა როლებს აკისრებდა და ასე ეძებდა მის ამბულუსს რომელიც მსახიობმა სრულყოფილად გამოავლინა პოლინას როლში („მელანისა ოინები“). უფრო მოგვიანებით კი ელენე სხვა ხასიათის როლებსაც ისევე ოსტატურად თამაშობდა, როგორც სახასიათოს.

კოტე შათირიშვილის შემდეგ, სახალხო სახლის ქართულ დასს სათავეში ჩაუდგა მოსკოვის სამხატვრო თეატრიდან ახლად დაბრუნებული ახალგაზრდა რეჟისორი ალექსანდრე წუწუნავა. მან ამ თეატრში მრავალი დადგმა განახორციელა. მისი ნამუშევრით მუდამ მოხიბლული იყო საზოგადოება. გოგოლის „რევიზორის“ სანახავედ სოფლებიდანაც კი მოდიოდა მაყურებელი. ასევე წარმატებით დადგა მან ანდრეევის პიესა „დღენი ჩვენი ცხოვრებისა“, რომელმაც ელენე ოლოლის დედას — ვედოკია ნიკოლავენას თამაშობდა. სპექტაკლი რომ დამთავრდა, კულისებში შევიდნენ კოტე და ვასო სახანაშვილები და ელენე გააფრთხილეს: „ქართში გასვლა შეგაკვიან, თორემ შენს მიერ შესრულებულმა ვედოკია ნიკოლავენას უსინდისობამ ისე იმოქმედა მაყურებელზე, რომ კარგებთან ახალგაზრდობა გიციდის და... ცემას გიპირებენი!“

ზუბალაშვილების სახალხო სახლში რამდენიმე დრამატული წრე მუშაობდა. ელენეს ვედოკია ნიკოლავენამ ხალხში დიდი გამოხმაურება პპოვა. სომხურმა სექტორმა სოხოვა, რომ სომხურ ენაზე შეესრულებინა ეს როლი, მაგრამ ელენემ ვერ გაუბედა. სამაგიეროდ, ოსურ ენაზე ითამაშა ლიზას როლი ცაგარლის კომედიაში „რაც გინახავს, ვეღარ ნახავ“ და დი-

ესახიობის

გზა

ალა გაჩეჩილაძე



რთი დივიზია ბიჭი ყავსო მისიელი ციმაკურიძეს, — იტყოდნენ ხოლმე ქვიშხეთის მცხოვრებნი და მართლაც, მისი თორმეტი ვაჟი რომ ქუჩაში გამოეფინებოდა, თვალი უკეთესს ვერაფერს დაინახავდა... და აი, მეცამეტე შვილი ქალი შეეძინათ, რომელსაც ელენე დაარქვეს და რომელმაც მთელი თავისი შინაარსიანი ცხოვრება ქართულ სცენაზე გაატარა, სათეატრო ისტორიას ბევრი საინტერესო სახე დაუტოვა.

მისიელ ციმაკურიძის ოჯახის სწორი სტუმრები და მეგობრები იყვნენ: მსახიობი — რეჟოლუციონერი ქალი — მარიამ



დი მოწონება დაიმსახურა, თუმცა ოსური ენა სრულიად არ იცოდა და მხოლოდ როლის ტექსტი გაიწვიპრა.

ზებადაშვილების სახლობ სახლში ელენე 1917 წლამდე დარჩა. ერთდროულად გამოდიოდა ნაძალადევის თეატრში და ავტოსის აუდიტორიაშიც. მაშინ ქალაქის ტრანსპორტის ეტლები და კონკეები შეადგენდნენ და ადვილი როდი იყო ქალაქის ერთი თავიდან მეორეში სირბილი წამთარსა და წაფხულში, გრიმითა და ტრანსპნტის ხელში, მაგრამ სცენისადმი უსაზღვრო ლტოლვა და სიყვარული ყოველგვარ ადბრკოლებსა სჯობინდა.

1917 წლის წაფხულში რეჟისორმა ალ. წუწუნავამ სახალხო სახლის ქართული დასიდან შეარჩია მსახიობები და რამდენიმე თვით წაიყვანა საგასტროლოდ ბათუმში. დასში ირიგებებოდნენ: ელენე ციმაკურიძე, გიორგი შურული, კოწო ანდრონიკაშვილი, ანეტა ქიქოძე, მის. ჭიაურელი, მის. გელოვანი, შაქრო გომელაური, დუდე ძნელაძე, ნიკოლოზ გოძი-აშვილი, გიორგი არადული-იშხნელი, ვალერიან გუნია და სხვები. ამ დასში, ელენე ციმაკურიძემ განსაკუთრებულ ყუ-რადავება დაიმსახურა, როგორც ნიუიერმა მსახიობმა.

ელენე სწავლობდა გიორგი ჯაბადარის სტუდიაში. რუს-თაველის სახელობის თეატრში ჯაბადარმა დადგა „საჩუმუ-ნოება“. ამ პიესაში ელენე ერთ-ერთი ქალიშვილის როლს ასრულებდა. თბილისის მაყურებელმა და პრესამ დიდი მო-წონებით მიიხსენია როგორც დამდგმელი-რეჟისორი, ისე სპექტაკლის მონაწილე მსახიობებით, მათ შორის ელენე ციმაკურიძეც.

იმხანად თბილისში საგასტროლოდ ჩამოსული იყვნენ მოსკოვის სამხატვრო თეატრის მსახიობები, რომლებიც სპექტაკლებს მართავდნენ საოპერო თეატრის შენობაში. და-სის შემაღელობაში შედიოდნენ: კინიუერ-ჩხვივა, კაჩალაიძე, მოსკოვინ, თარხანოვი, ბერსენევი და სხვა გამოჩენილი მსა-ხიობები. მათ ნახეს ქართული წარმოდგენა და მოხიბლული დარჩნენ ქართველი მსახიობების ნიჭითა და ტემპერამენტით. ამის შემდეგ რუსი და ქართველი მსახიობები ხშირად იერი-ბებოდნენ ზოლზე ერთად აზრთა გაზიარების მიზნით გამოჩე-ნილი ქართველი მსახიობის — ეფემია მესხის ბინაზე. ამ შეკ-რებას თაოსნობდა ეფემიას მეუღლე — ივანე გეგნერი, რო-მელიც ქართული თეატრის დიდი პატრიოტი და მოჭირან-ხული იყო.

რუსთაველის თეატრის სცენაზე ელენე ციმაკურიძე ვა-შიდობდა 1918-1923 წლამდე. (ამ პერიოდში აქ მუშაობდ-ნენ რეჟისორები: კოტე მარგანიშვილი, ალ. ახმეტელი, ალ. წუწუნავა, მის. ქორელი და აკაკი ფაღავა.) 1923 წელს კი გადავიდა ბათუმის თეატრში, რომელსაც კოწო ანდრონიკა-შვილი ხელმძღვანელობდა.

როგორც უკვეთ აღვნიშნეთ, ელენე ციმაკურიძეს თითქ-მის ყოველთვის სახასიათო როლებს მესრულებდა უხედიო-და: გედგანიშვილის „სინათლეში“ — ტარტაროზი, ფრინოს-პირლის „ტუპი არადელიში“ — ფფფფა, კლდიაშვილის „დარისპანის გასაჭირში“ — კაროჭა, მიუკავაცილის „სუ-ლელიში“ — ბარონესა შტრონფერი, „მარგარიტა გოტივი“ — პრუდანი, „ორ თბოლში“ — ფროშარი, ანდრევეის „დღენი ჩვენი ცხოვრებისა“ — ევდოკია ნიკოლაევა, დადიანის „გუ-

შინდელენში“ — ფოფოცია, „კანიუნიების ოჯახში“ — ტა-რეჯანი, ჰაუტმანის „ქანელეში“ — ედეგა, „ქარიშხალთა შორის“ — პოლკოვნიკა და სხვ. ბათუმის თეატრში პირვე-ლად მიიღო ჯიხან-ხანების როლი ოპერეტა „არწმინ მალა-ლანში“. ახალჯარდა ქალების როლებს დანატრულებულმა ეტეტომ ისეთი ლამაზი გრიმი გაიკეთა, რომ აჭარლები აღ-ტაცებულნი მოვიდნენ: „ეს რა ლამაზი დეიდა ყუილა ასკარა-სო!“ რაც შეესება სიმღერას, ისე დაიტარდა ქალს ეს ანტერ-ხეობა და იმ სპექტაკლშიც, ისე დაიტარდა, რომ აღთქმა მისცა თავის თავს აღარსად ემდეგა.

ბათუმშივე დადგეს ტრ. რამიშვილის „შემოღობი“. ვი-ნაიდან პიესაში ქალის როლი მხოლოდ ერთი იყო და ისიც ელენესათვის შეუფერებელი, მან რეჟისორს თხოვა გიყი ტიგ-რანას როლი მომეცინო. დიდი წინააღმდეგობის შემდეგ ეს როლი მიიღო და საშინადის შეუდგა.

დავდა პრემიერის დღეც. გადამფოფოს ტანსაცმელში გამოწყობილი, თავგადაპარსული, თალებდაჭყეტელი ტიგ-რანა შემინებული იმორებდა „უშუაპანდი ვარ, დავიმხხრე-ვი, უშუაპანდი ვარ დავიმხხრევი“. მართლაც, გიყი ტიგრა-ნა უხადლოდ განასახიერა. მიუხედავად ვერ იცნო ამ როლში. ციმაკურიძის ქალის შესანიშნავი გადამსახეტი აღფრთოვანე-ბული იყო საზოგადოება.

თავისი სასცენო მოღვაწეობის მანძილზე ელენე ციმა-კურიძე ბევრ თეატრში მუშაობდა. მაგრამ განსაკუთრებული სიყვარული იჯნობდა ქუთაისის თეატრს და მის მაყურე-ბელს, რომლის მსვავინ არასოდეს არასდ შეუხვედრია, — ამბობს იგი. მაშინ ქუთაისის თეატრს ხელმძღვანელობდა რეჟისორი მის. ქორელი, რომელმაც დადგა „პროტესტი“. ამ პიესაში ელენეს როლი არ ქონდა, მაგრამ ერთ სურათში ისე შესანიშნავად იცეკვა, რომ შემდეგ სპექტაკლებზე ამ სურა-თის საყურებლად სპეციალურად მოდიოდა ხალხი.

აქვე დადგეს ფრინოსპირლის პიესა „ტუპა არადელი“. ელენეს უნდა შეესრულებინა ჭირიკანა ფეფეღას როლი, მაგ-რამ ამ ქალის სასიათის მიგზნება ძალზე გაუჭირდა. პრემიე-რის დღეს გათვანებული ეტეტო კულისებში იდგა და სცენაზე გასვლას ელოდებოდა. ამ დროს შემოესმა კომპოზიტორ რე-ვაზ გოგინაშვილის მუსიკა, პიესაში მიყვნილი მღვთმარო-ბისთვის ისე დამახასიათებელი, რომ ეტეტო ასლაც სიამოფ-ნებით იჯნობდა იმ შესანიშნავ უწყობს: „უფერტობა ვთავა-და... შედეგ ფხვი სცენაზე და, აი, მართლაც რომ სასწაულო მოხდა. გოგინაშვილის მუსიკა იმდენად მოხიბლობდა და მარ-თალი იყო, უწყვეტ მამოწინა ფფფფლას სახეში... ეს როლი ერთ-ერთი ბრვენიანებად გახდა ელენე ციმაკურიძის მდიდარ რეპერტუარში.

ქუთაისშივე დაიდაც ია ეკალაძის პიესა „ნ 21 ვჯრით“. ელენე რველუციონერ მუშა-ქალს განასახიერებდა. თვითე-ულ მის სიტყვას ტაშის გრიალი ვარსავედა.

დიდი სითბოთი იჯნობეს ელენე, გამოჩენილი ქართველი მსახიობის ნუცა ჩხვიძის მიერ ქუთაისის სცენაზე შესრულე-ბულ მარგარიტა გოტივის: ამ როლში ნუცა, ყოველმხრივ შეწყული იყო, ბადალი არ ყყავა და, არც ეყოლოდა — ამ-ბობს ელენე, — არასოდეს დამაყუწყებდა მისი მარგარიტა... ამ პიესაში მე პრუდანს ვთამაშობდი და მარგარიტას სიყუ-

დილის სცენაში თავისუფალი ვიყავი, ამიტომ მოკარანხეს ჯიხურში ჩავეყვამობდი ხოლმე, რომ ნუცას შესანიშნავი სიკვდილისათვის მექცირა. ერთხელ, მოკარანხემ ვედარ გაუძლო ამ სცენას, ისტერიული ტირილი აუტყდა, პიესა მომაგდო და ჯიხურიდან ღრიალით გაეარდა...

შემდეგ, ელენე თე სეზონში მუშაობდა ქვიშეთში მსახიობად და რეჟისორად. მეუღე კი ბორჯომის თეატრში ვადა ვიდა რეჟისორად. როგორც ბორჯომში, ისე ქვიშეთში ელენე ცინკაურიძე თავისი წარმოდგენებით მომასტრობსა უწევდა მათ გარშემო მდებარე რაიონებსა და სოფლებს.

1927-28 წლის სეზონში, იგი კვლავ თბილისს დაუბრუნდა და მუშაობა დაიწყო „წითელ თეატრში“, რომელსაც მის ჭიკაურელი ხელმძღვანელობდა. იმ დროს აქ მუშაობდა ქართველ ახალგაზრდა მსახიობთა შესანიშნავი პლეადა.

რეჟისორაა დიდი ანთაძემ „წითელ თეატრში“ დადგა პიესა „ყველას, ყველას!“ ამ პიესაში ელენეს როლი არ ჰქონდა, სცენის მიღმა უნდა განესახიერებინა გამწარებული დედა, რომელიც ოფში იმიტომ შეიღოს მისტერიადა. კულინსებიდან მოისმობდა მისი მოთქმა. სპექტაკლის გასასიწავად დიდი ანთაძემ კოტე მარჯანიშვილი მოიწვია. ამის შესახებ კარგად მოვიტონობთ თვით ელენე: „დიდი ანთაძე და მსახიობები ძალიან დღეაღდენენ. მე კი, არჩენიად ვიყავი, რადგან მხოლოდ კულინსებში მქონდა სათქმელი რამდენიმე სიტყვა და ამას რა უნდოდა! დადგა ჩემი მოქმედების დროც. თავი არ დაუზოგე, რაც ძალია მოქნდა აყვირიდი. ჩემი სურათი დამთავრდა თუ არა, დავაპირე პარტნიორს ჩასვლა, რომ ამხანაგებისათვის მექცირა, მაგრამ კოტე მარჯანიშვილმა მოითხოვა ამ სურათის განმეორება და იმ ქალის როლი, რომელიც კულინსებში მოთქამადა (ე. ი. ჩემი) გადმოიტანა სცენაზე, ჩაუმატა სიტყვები და მუსიკის აკომპანეიმენტის ქვეშ წვიყვიანა ეს სცენა... გამამოთრებინა ერთხელ, ორჯერ, სამჯერ და... მგონი ასეურაქცა...“ გავაკეთებდი ისე, როგორც მეტყუოდა, არ მისწონდა! აღარ ვიციოდი, რა მექნა. ის ძიებანი იყო, მე კი ფეხზე დგომა აღარ შემიძლო, მაგრამ ჩემ დადლოლობას არავითარ ანგარიშს არ უწევდა და იმდენი მატრიალა, იმდენი მადრიალა, ვიდრე ჩემი უჩინარი როლი, სპექტაკლის თვალისწინად არ ვახანა. შემდეგში ამ როლში მაყურებელი მაჯილოდობდა მხურვალე ოვაციებით!“ — ამბობს ელენე.

1930-31 წლის სეზონში ელენე გადავიდა სოხუმის თეატრში, რომელსაც კ. ანდრონიკაშვილი ხელმძღვანელობდა. აქ ბორჯომის რეჟისორობით დაიდგა ეთინაჩის „კრანაა“. ელენემ შესანიშნავად განასახიერა უგუნური და დაუნდობელი, მემჩინი ქალის — იულიას სახე.

ამვე თეატრში დაიდგა კირსონის „პური“. ამ პიესაში უსიტყვო როლი ჰქონდა, მაგრამ იმ როლს იმდენი საღებავები გამოუხანა, რომ შესამჩნევი გახადა.

1933-34 სეზონში ელენე ცინკაურიძემ მიიწვიეს ბაქოს ქართულ თეატრში, სადაც წარმადებით თამაშობდა როგორც მოხუცების, ისე ახალგაზრდა ქალების როლებს.

ქართულ სცენაზე ელენე ცინკაურიძე უშთავრესად სახასიათო როლებს ასრულებდა. მაგრამ, აი, ბაქოს ქართულ

თეატრში დაიდგა კარლო კალაძის დრამა „ხატივე“ და დიდის როლი შესთავაზეს. მასახიობი დიდი სიმართლით განასახიერებდა სამონელი ადაით დაჩაგრულ აჭარულ ქალს. ამ როლის კულმინაცია ხატივეს სიკვდილის სცენაში იყო. ელენე მაღალი ოსტატობით ასრულებდა ამ ტრაგიკულ ადგილს... უსულო ხატივეს დანახვაზე ერთხანს დახუნული, გაბრუნებული იდგა, თვალბემაში შიში და შეძრწოლება ეხატებოდა... ყვირილი უნდობა და ვერ ყვიროდა... ტირილი უნდობა და ვერ ტიროდა... შემდეგ უგუნური ძალით ამოიგმინებდა, თუ ვუფხვივით შვილის ცხედარს დააცხრებოდა და მისი საშინელი ღმუელი შემასრუნე კვიცილში გადაიზრდებოდა. ეს სცენა იმდენად ძლიერი იყო, რომ ამ სტრიქონების ავტორი, „მკვდარი“ ხატივეც კი ცრემლად ვიღვრებოდი „დედაჩემი“ ტირილის დროს. ამავე ამბობს ბაქოს ქართულ თეატრში ხატივეს როლის მეთერ შემსრულებელი მსახიობი თამარ სვანიც: ელენე ცინკაურიძე ისე დამტროდა, „მიცვალე ბუფის“ კი ცრემლი მდიოდა.

აქვე მინდა მოვიხსენიო ელენეს მიერ ბაქოს ქართულ თეატრში შესრულებული ორი როლი: ხანუმა — ცაგარლის „ხანუმაში“ და სტუდენტი ქალი — „ჩინალაძის მოგზაურობაში“. ამ პიესებში მეც მასთან ვინაწილდობოდი და ნაოლად მახსოვს თვითული მისი აქტიური როლი.

„ხანუმა“ რეპეტიციების დროს (ამ სპექტაკლში აკოფას როლს ასრულებდა ბაქოში სტუმრად ჩამოსული საქ. სახალხო არტისტი ნიკო გოციონიძე) ნიკოს შეხედავდა თუ არა, ენა ებებოდა და წითლდებოდა, — ნიკოს მრცხვენიარა, — ამბობდა — ვინ იცის გულში ეცინება, „ხანუმა“ რა მაგის საქმეაო! მაცურებლის წინ წარსდგა თუ არა, უგბათ წელში გაიშალა, თვალბემაში ხანუმას თავებულთ ნაპურწყალი აუეცაფდა. ნიკო გოციონიძე აღტაცებით ამბობდა: ეს რა „ანტიკა“ ხანუმა გვეუოლია და მე კი არ ვიციოდიო!

მესამე როლი — ქარაფშუტა სტუდენტი ქალის სახე კი სულ სხვა სახაიათისა იყო. ცხოვრებაში უკვე ხანდაზმული, დარბასილი ელენე ცინკაურიძე სცენაზე გარდაიქმნა კველუტ ქალაშვილად. რომელსაც სოფლის ტლახის ზედა მობერებია, ქალაქში ვინამო სასწავლეოლად ჩაზსოვდა. ერთი სიტყვით, ეს იყო გამოქალაქებული „კარონა“, რომელსაც თავის თავზე დიდი წარმოდგენა აქვს და თავისი ადგილი კი არ იცის ცხოვრებაში.

1936 წელს ელენე გადმოვიდა ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის თეატრში. აქ მისი პირველი როლი იყო მიმლა — ოპერეტაში „ყუავებული ბაღი“. მიუხედავად იმისა, რომ არასოდეს უწლებია, ეს მცირე როლი დიდი წარმადებით შესარულა და მაყურებელს გულთბილად მიიღო იგი.

ამვე თეატრში ითამაშა დიასახლისის პატარა როლი კალაძის „სოფლის საღამომეში“ და მტინარა ქალის შეუდარებელი სახე შექმნა. ასევე დიდი წარმადება ხვდა ოპერეტაში „როშ-მარი“, სადაც ეტელის როლს ასრულებდა.

ორმოცდაათეული წლის მანიძოლე, 1909 წლიდან — 1954 წლამდე, ელენე ცინკაურიძეს შესრულებული აქვს 300-მდე როლი. 1942 წელს მას მიენიჭა საქ. სსრ დამსახურებული არტისტის წოდება.



ღვეან ხოჯელანი
უზბულა



ბელა ბერძენიშვილი
ქართული ხალხური ზღაპრის ილუსტრაცია



გაიანე ქუთათელაძე არ ღაუშეებო ომს.

რუსუდან
ჯაგრიშვილი
სტოკჰოლმი



საფრანგეთში გამოვიდა და უკვე ბევრ ენაზე ითარგმნა თებრისა და კახის გამარჯვებულ მსახიობის ქეჩიკაძის თეატრის მუხლი, ანუ ფილიპის წიგნი „ღრო, სუნთქვადათ გარდასული“. საფრანგეთის მეთხველები და პროგრესული პრესა თბილისად მივხვდა ამ წიგნს. ანდრე სტილმა მას „ამაღლებელი შობაგებულების ნაწარმოები“ უწოდა, ხოლო საფრანგეთის მწერალთა ინოვაციური კომიტეტმა, რომლის შემადგენლობაშიც არიან ლიო არაგონი, ელზა ტრილი, მარიის დროტიონი, ან-პილ სარტრი, ამ წიგნს ყოველწლიური ლიტერატურული პრემია „გაერთიანება“ მიაწოდა.

„ანი ფილიპის მოთხრობა — ერთი ერთი უმსხვილესი წიგნია სიყვარულზე, რომელიც კი ჩვენ დღემდე წაგვიტოხავს... სიყვარულისა და სიყვდილის, ნათელი სიბარულისა და მარტოობის, უმედილობისა და ცხოვრების ნებისყოფის გამოშვებების თემაა, — ღიაა, ეს არის მისი ძირითადი თემა, — წერდა ვახუთი „ლეტრ ფრანსეზი“.
გათავაზობ ნაწყვეტს ამ მოთხრობიდან.

გთხოვენ“. მივდევდი მას და ვფიქრობდი: „ასე სწრაფად! მითხრეს — ეს ამავე ერთნახევარი საათის მანძილზე ვასტანსო, მაგრამ დაახლოებით ოც წუთსაც არ გაუვლია და ის უკვე პალატაში გაიყვანეს“. ოთხი თეთრხალათიანი ექიმი მიახლოვდნენ. მათ სახეზე ყველაფერი ამოვიცილო, ერთერთმა სკამი დღემოლით მომიწია. ყველაფერს მიხვდი. ასე შეგონა, დასასჯელად მივყავდი სადღაც. თუმცა განწირულს იქვე ახლოს, სულ რამდენიმე ნაბიჯზე იქნა.

— ძალიან დაიტანჯება?

— არა, ნელ-ნელა, შიმშილით სიკვდილი ელის.

იმავე ლიფტით და, როგორც ჩანს, იმავე მსახურთან ერთად ჩავედი ძირს ისეთი შეგრძნებით, თითქოს ქვეყნიერება ინგროვდა. ვიღაცას ვუთხარი: „ყველაფერი დამთავრებულია“. დამიძახეს ტელეფონთან მივსულიყავი, ტელეფონში რაღაც მიკიბულ-მოკიბული ვთქვი. ცოტა ხნის შემდეგ პალატაში შევედი. შენ კი უკვე იქ დამხვდი: ექთანი მარცხენა ფეხში ნეშის გეკეთებდა, ზონდის გამოძლივს სუნთქავდი. გძინავს, ფერმკრთალი, დაღონებული სახე გაქვს, მაგრამ შეიძლება ადამიანმა იფიქროს, რომ ისვენებს და საშინელი წინათგანძობა აზრადაც არ მოგედის. იმედის წუთებში ყველაფერი ასე მქონდა წარმოდგენილი: სამი მძიმე დღის გადატანა მომიხდება, მერე კი ცხოვრება ისევ წინ გვექნება-მეთქი. ამ მძიმე სამსა დღემ უკვე ვანდობი, წინ კი სიკვდილის მოლოდინმა და ჩვენს შორის ჩამდგარმა სიყალბემ დაისადგურა. გეძინა და მაშინაც კი არ მინდოდა მეჩვენებინა ჩემი სასოწარკვეთილება, ჩემი მდელგარება. თავს ვიმაგარებდი, არ მსურდა, მაგრამ შენს წინაშე ვიამაზებდი კომედანს, რომელიც ბოლომდე უნდა მიმეტანა. და ჩვენი ერთად ყოფნაც ამით დასრულდებოდა. როდესაც სანიტარმა ქალმა ოთხთვალათი გაკეფავანა, ერთმანეთს უკანასკნელად შევავლეთ თვალი როგორც ცოლ-ქმარმა, როგორც ერთმანეთის თანასწორებმა.



